ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: სკანდინავისტიკა (Scandinavian Studies)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სკანდინავისტიკის მაგისტრი (Master of Arts in Scandinavian Studies)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 2 სასწავლო წელიწადს, 4 სემესტრს. საქართველოს კანონიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“ გამომდინარე, პროგრამის შესასრულებლად სტუდენტს ესაჭიროება 120 ECTS (1 კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საუდიტორიო (საკონტაქტო), ასევე დამოუკიდებელ მუშაობას).

120 ECTS, რომელიც აუცილებელია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად, ნაწილდება შემდეგი პრინციპით:

- 70 ECTS სავალდებულო კურსები;
- 20 ECTS არჩევითი კურსები;
- 30 ECTS - სამაგისტრო ნაშრომი.

სწავლების ენა- ქართული

პროგრამის მიზანი- პროგრამის მიზანია, მისცეს სტუდენტს ღრმა და, იმავე დროს, კომპლექსური ცოდნა სკანდინავისტიკის დარგში, მოამზადოს ის როგორც სპეციალისტი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და კვლევითი უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკულ–გამოყენებით სფეროებში; პროგრამის მიზანია, საზოგადოებისათვის კონკურენტუნარიანი, სათანადო ცოდნითა და დამოუკიდებელი კვლევის უნარ–ჩვევებით აღჭურვილი კადრის შეთავაზება, რომელიც როგორც რეგიონმცოდნე, შეძლებს სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის და კულტურის, ლიტერატურის, პოლიტიკური სისტემების, გენდერული ურთიერთობების, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სისტემების, ეკონომიკის და ბიზნესის, საერთაშორისო ურთიერთობების და სხვა საკითხებზე მუშაობას. პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტი შეიძენს სრულფასოვან ცოდნას დარგის ყველა ძირითად სასპეციალიზაციო დისციპლინაში, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიმუშავებს ეთნიკური განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის, უცხო კულტურათა მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების უნარს, რაც

დაეხმარება, ჩამოყალიბდეს ჯანსაღ ფასეულობებსა და დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ მოქალაქედ.

პროგრამა ითვალისწინებს რეგიონმცოდნეობის სწავლებისა და კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და მსოფლიოში სკანდინავისტური სასწავლო თუ კვლევითი ცენტრების გამოცდილებას, სადაც დღითიდღე იზრდება ინტერესი ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების მიმართ, რასაც განაპირობებს ამ ქვეყნების მზარდი და მრავალმხრივი პოტენციალი. სასწავლო პროგრამები სკანდინავისტიკის სფეროში არსებობს მსოფლიოს მრავალ და ევროპის თითქმის ყველა წამყვან უნივერსიტეტში. სკანდინავიის მცირერიცხოვანი, გეოგრაფიულად განაპირა ევროპული ერების სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცდილება მრავალმხრივ საყურადღებოა ჩვენს, გეოგრაფიულად ასევე განაპირა, ევროპულ და მცირერიცხოვან ქვეყანაში თანამედროვე ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის. თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამა ქართულენოვანია, მაგრამ პროგრამის სიახლიდან და იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ პროგრამა აუცილებელ წინაპირობად არ ითვალისწინებს ბაკალავრის ხარისხს მხოლოდ სკანდინავიურ ფილოლოგიაში და, შესაბამისად, რომელიმე სკანდინავიური ენის ცოდნას, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალის დიდი ნაწილი ინგლისურენოვანია. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობად ინგლისური ენის შედარებით მაღალ დონეზე (B2) ცოდნას. სამაგისტრო პროგრამის გავლისას სტუდენტი შეისწავლის სკანდინავიის ქვეყნების მინიმუმ ერთ ენას. თსუ-ს სკანდინავიური ფილოლოგიის ძირითადი/დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებულებს, გამომდინარე იქედან, რომ მათ უკვე ნასწავლი აქვთ ნორვეგიული ენა შესაბამის დონეზე, სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამაში შეუძლიათ აირჩიონ მხოლოდ ფინური ენა. სხვა სტუდენტებს კი შეუძლიათ სავალდებულო ენად აირჩიონ ფინური ან ნორვეგიული ენა, ხოლო სურვილის შემთხვევაში არჩევით საგნად/ საგნებად გაიარონ მათ მიერ სავალდებულო ენად არარჩეული სხვა (მეორე) სკანდინავიის ქვეყნის ენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკანდინავიური მოდგმის ენებიდან ნორვეგიული ე.წ. შუა ენაა და მის მცოდნეს არ უჭირს შვედურისა და დანიურის კითხვა და გაგება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება და ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურეკონომიკური განვითარების

ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

1) ბაკალავრის ხარისხი;

2) ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;

3) ინგლისური ენის B 2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით.

4) სასპეციალიზაციო გამოცდა („სკანდინავიისმცოდნეობის საფუძვლები“)

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება:

სკანდინავისტიკის მაგისტრს გააჩნია დარგობრივი სფეროს უახლესი თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, ცოდნა, მათ შორის გამოყენებით და მომიჯნავე სფეროებში. იცის ჩრდილოეთ ევროპის რეგიონის ისტორია, სკანდინავიის ხალხების ისტორია და კულტურა პრეისტორიული პერიოდიდან XXI საუკუნემდე, სკანდინავიის ქვეყნებისა და ხალხების ლიტერატურული ტრადიციები, საერთო ლიტერატურული ძირები და ეროვნული ლიტერატურების წარმოშობა. ეროვნულ ლიტერატურათა განვითარების გზები სკანდინავიის რეგიონში და მათი განმსაზღვრელი ფაქტორები. სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურები შედარებით პერსპექტივაში. სკანდინავიის ქვეყნების ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მექანიზმები, სკანდინავიაში ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე მოქმედი ფაქტორები, სკანდინავიის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები და პარტიები, ასევე სკანდინავიის ქვეყნების ეკონომიკური მოდელების და ეკონომიკური განვითარების თავისებურებები. ფლობს სკანდინავიის ქვეყნების მინიმუმ ერთ ენას (ფინური, ნორვეგიული) საშუალო დონეზე. გაცნობიერებული აქვს სკანდინავიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ძირითადი ასპექტები, სკანდინავიის ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და ინტერესები, სკანდინავიური მითოლოგიის მნიშვნელობა, მისი ადგილი მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიურ სისტემაში, ფილოსოფიური აზროვნების ეტაპები სკანდინავიის ქვეყნებში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

მაგისტრს შეუძლია შეძენილი ცოდნის გამოყენება ანალიტიკურ და კვლევით საქმიანობაში, განსაკუთრებული მნიშვნელობის მხატვრული და თეორიული ნაშრომების ანალიზი, შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენებით ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სფეროში არსებული პრობლემების შემოქმედებითად გადაწყვეტა, სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის ანალიზი, ზოგადპოლიტიკური ლანდშაფტის კვლევა, სკანდინავიის ქვეყნებში ბიზნესის გარემოს შეფასება ისეთი პარამეტრების მიხედვით, როგორიცაა სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ანალიზი, სკანდინავიური ფემინიზმის მახასიათებლების ამოცნობა, სკანდინავიის ქვეყნების და, ზოგადად, სახელმწიფო პოლიტიკის გენდერულ ჭრილში განხილვა, სკანდინავიური მითოლოგიის ძირითადი საკითხების (ღვთაებათა პანთეონი, უნივერსალური მითოლოგიური თქმულებები და მითოლოგემები) კვლევა და ანალიზი, ლიტერატურულ და ხელოვნების ნაწარმოებებში ასახული სახეებისა და მითოლოგემების მარკირება.

დასკვნის უნარი:

მაგისტრს შეუძლია კრიტიკული მიდგომების გათვალისწინებით რთული, არასრული და/ან წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი და ანალიზის შედეგის ეფექტური მიწოდება, კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი დარგობრივი სფეროს უახლესი მონაცემების გამოყენებით. შეუძლია არასრულ და შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, განსაზღვროს პრობლემები და მათი გადაჭრისათვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსები გამოიყენოს. დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს სამუშაოს საკუთარი და ჯგუფის სხვა წევრების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

კომუნიკაციის უნარი

მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რაც ხელს უწყობს ხსენებული ტექნოლოგიების შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას სპეციფიკურ კონტექსტში. შეუძლია სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით, ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვა.

სწავლის უნარი

მაგისტრს უნარი აქვს თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ესმის, როგორ გააუმჯობესოს მიღებული შედეგი.

ღირებულებები:

ეთნიკური და რელიგიური განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტული დამოკიდებულება უცხო კულტურათა მიმართ.

აკადემიური სინდისიერებისა და სამეცნიერო ეთიკის დაცვის უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას პროფესორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას.

საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელების დროს სასურველი შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები:

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები;

ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; დისკუსია/დებატები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; შემთხვევის ანალიზი (Case study); ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი და სხვა მეთოდები, რომლებიც საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სილაბუსებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

კანონმდებლობის შესაბამისად, დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის ცოდნის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებებს (აქტიობა, პრეზენტაცია, შუალედური გამოცდა);

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

შეფასების სისტემა უშვებს:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დეტალურად ჩაშლილია სილაბუსებში.

სასწავლო კურსი ითვლება ჩაბარებულად ქულათა 51% დაგროვების შემთხვევაში (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა)

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50% მიღების შემთხვევაში.

დასკვნით გამოცდას და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 კალენდარული დღისა.

დასაქმების სფეროები:

სკანდინავისტიკის დარგში პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, სარეფერენტო, საარქივო, მეთოდიკური, მხატვრულ-მთარგმნელობითი და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობა. საქმიანობა ბიზნეს-ფირმებში; სხვადასხვა სახის საქმიანობა დიპლომატიურ სამსახურში საელჩოებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, არასამთავრობო სექტორში; საქმიანობა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მასმედიის სფეროში, მუზეუმებსა და ტურისტულ ფირმებში; სხვადასხვა კომპანიებში. ყველა იმ პოზიციაზე, რასაც პასუხობს მაგისტრის ხარისხი.

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსები:

სამაგისტრო პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია

თსუ-ს ბიბლიოთეკაში. იმავდროულად, თანამშრომლობის სკანდინავიური პროექტების დამსახურებით, თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სკანდინავისტიკის ცენტრს აქვს კარგად გამართული კომპიუტერული ბაზა,

ინტერნეტი, თანამედროვე ვიდეო და აუდიოტექნიკა, მდიდარი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა.

სკანდინავიის ქვეყნების უნივერსიტეტებთან და ფონდებთან ურთიერთობის წყალობით ხელმისაწვდომია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო, ფაქტობრივად, ნებისმიერი ხასიათისა და დონის სასწავლო, კვლევითი თუ სხვა სახის მასალა.

პროგრამის საუკეთესო სტუდენტებს შეიძლება მიეცეთ შესაძლებლობა სკანდინავიის უნივერსიტეტებში/ უმაღლეს სასწავლებლებში გაიარონ როგორც 4-6 კვირიანი საზაფხულო სასწავლო კურსები, ისე 1-2 სემესტრიანი სტაჟირება (არის მათ მიერ დაგროვილი კრედიტების საქართველოში აღიარების შესაძლებლობაც), ხოლო თსუ-ში სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ სადოქტორო პროგრამები სკანდინავიის/ევროპის სხვა უნივერსიტეტების/უმაღლესი სასწავლებლების სკანდინავისტიკის ან მონათესავე პროფილის (ევროპეისტიკა და სხვა) ინსტიტუტებსა და დეპარტამენტებში.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

პროგრამის ხელმძღვანელი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სკანდინავისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი - კახაბერ ლორია

ა) დანართი - სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები)

ბ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ (გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა, ხარისხი), ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დანართის სახით

№	დისციპლინა	პროფესორ-მასწავლებელი	კვალიფიკაცია/საკონტაქტო ინფორმაცია
1	სკანდინავიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა	1.თეიმურაზ პაპასქირი 2.ვასილი კუჭუხიძე	1.თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი 2. „---„ დოქტორანტი
2-4	სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურათა ისტორია- 1; 2; 3	1. კახაბერ ლორია 2. თამარ კვიჟინაძე, 3.ნინო მენგი-ბარძიმაშვილი 4.დიმიტრი გოგოლაშვილი,	1. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი 2. „---„მოწვეული პედაგოგი, დოქტორანტი 3. „---„ დოქტორანტი 4. მოწვეული პედაგოგი
5	ეკონომიკა და ბიზნესი სკანდინავიის ქვეყნებში	1. დავით სიხარულიძე 2.ირაკლი დოღონაძე 3. ვახტანგ ჭარაია	1.თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი 2. „---„ დოქტორანტი 3. „—„ მოწვეული პედაგოგი, დოქტორი
6	ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა სკანდინავიის ქვეყნებში	ლაშა ლორია	თსუ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
7-9	სკანდინავიის ქვეყნების ისტორია და კულტურა - 1; 2; 3	1.თეიმურაზ პაპასქირი 2.ვასილი კუჭუხიძე	1.თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი 2. „---„ დოქტორანტი
10	გენდერული თანასწორობა სკანდინავიის ქვეყნებში	1.მაია ბარქაია 2.ნარგიზა არჯევანიძე 3. ელენე ჯაფარიძე	1.თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის მოწვეული პედაგოგი, დოქტორი 2.თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის დოქტორანტი და მოწვეული პედაგოგი 3. მოწვეული პედაგოგი, დოქტორი
11	სკანდინავიის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები და პარტიები	1.თეიმურაზ პაპასქირი 2.ვასილი კუჭუხიძე	1.თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი 2. „---„ დოქტორანტი
12-14	ფინური ენა -1;2;3	დიმიტრი გოგოლაშვილი	მოწვეული პედაგოგი
15-17	ნორვეგიული ენა -1;2;3	1. კახაბერ ლორია	1. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

		2. თამარ კვიჟინაძე, 3.ნინო მენგი-ბარძიმაშვილი	2. „---„ დოქტორანტი 3. „---„ დოქტორანტი
18	სკანდინავიური მითოლოგია	ელენე გოგიაშვილი	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი
19	სკანდინავიის ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკა	1.თორნიკე თურმანიძე 2. ვასილ კუჭუხიძე	1.თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის ასოც. პროფ. 2. თსუ დოქტორანტი
20	ფილოსოფიური აზრი სკანდინავიის ქვეყნებში	1. აკაკი ყულიჯანიშვილი 2. მამუკა სურმავა	1. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი 2. „—„ მოწვეული პედაგოგი, დოქტორი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება:
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **სკანდინავისტიკა**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა (120 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: პროფ. კახაბერ ლორია
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 70/2015 (27.07.2015)
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2015-2016 სასწავლო წელი

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო კურსები / მოდულები – 70 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი	ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მომზადება	შუალედური გამოცდის/გამოცდების მომზადება	დასკვნითი გამოცდის მომზადება			შემოდგომა	გაზაფხული	
1.	სკანდინავიის ქვეყნების ისტორია და კულტურა - 1	5	15	30	58	8	10	4	წინაპირობის გარეშე	√		პროფ. თეიმურაზ პაპასქირი ვასილ კუჭუხიძე
2.	სკანდინავიის ქვეყნების ისტორია და კულტურა - 2	5	15	30	58	8	10	4	სკანდინავიის ქვეყნების ისტორია- 1		√	პროფ. თეიმურაზ პაპასქირი ვასილ კუჭუხიძე
3.	სკანდინავიის ქვეყნების ისტორია და კულტურა - 3	5	15	30	58	8	10	4	სკანდინავიის ქვეყნების ისტორია- 2	√		პროფ. თეიმურაზ პაპასქირი ვასილ კუჭუხიძე
4.	სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურათა ისტორია- 1	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		პროფ. კახაბერ ლორია,თამარ კვიჟინაძე, დიმიტრი

												გოგოლაშვილი, ნინო მენგი-ბარძიმაშვილი
5.	სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურათა ისტორია- 2	5	15	30	60	8	9	3	სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურათა ისტორია- 1		√	პროფ. კახაბერ ლორია,თამარ კვიჟინაძე, დიმიტრი გოგოლაშვილი, ნინო მენგი-ბარძიმაშვილი
6.	სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურათა ისტორია- 3	5	15	30	60	8	9	3	სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურათა ისტორია- 2	√		პროფ. კახაბერ ლორია,თამარ კვიჟინაძე, დიმიტრი გოგოლაშვილი, ნინო მენგი-ბარძიმაშვილი
7.	ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა სკანდინავიის ქვეყნებში	10	30	60	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე	√		ასოც.პროფ. ლაშა ლორია
8.	სკანდინავიის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები და პარტიები	5	15	30	58	8	10	4	წინაპირობის გარეშე		√	პროფ. თეიმურაზ პაპასქირი ვასილ კუჭუხიძე
9.	ეკონომიკა და ბიზნესი სკანდინავიის ქვეყნებში	5	30	15	45	10	22	3	წინაპირობის გარეშე		√	ასოც. პროფ. დავით სიხარულიძე ირაკლი დოღონაძე ვახტანგ ჭარაია
10.	გენდერული თანასწორობა სკანდინავიის ქვეყნებში	5	15	15	62	10	20	3	წინაპირობის გარეშე	√		დოქტორი მაია ბარქაია დოქტორი ელენე ჯაფარიძე ნარგიზა არჯევანიძე
11.	ფინური ენა -1	5		90	22	6	5	2	წინაპირობის გარეშე	√		დიმიტრი გოგოლაშვილი
12.	ფინური ენა -2	5		90	22	6	5	2	ფინური ენა -1		√	დიმიტრი გოგოლაშვილი
13.	ფინური ენა -3	5		90	22	6	5	2	ფინური ენა -2	√		დიმიტრი გოგოლაშვილი
14.	ნორვეგიული ენა -1	5		90	22	6	5	2	წინაპირობის გარეშე	√		პროფ. კახაბერ ლორია თამარ კვიჟინაძე ნინო მენგი-ბარძიმაშვილი
15.	ნორვეგიული ენა -2	5		90	22	6	5	2	ნორვეგიული ენა -1		√	პროფ. კახაბერ ლორია თამარ კვიჟინაძე ნინო მენგი-ბარძიმაშვილი
16.	ნორვეგიული ენა -3	5		90	22	6	5	2	ნორვეგიული ენა -2	√		პროფ. კახაბერ ლორია

												თამარ კვიჟინაძე ნინო მენგი-ბარძიმაშვილი
არჩევითი სასწავლო კურსები – 20 კრედიტი (ECTS)												
1.	სკანდინავიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა	5	15	30	58	8	10	4	წინაპირობის გარეშე	√		პროფ. თეიმურაზ პაპასქირი ვასილ კუჭუხიძე
2.	სკანდინავიური მითოლოგია	10	30	60	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე	√		ასისტ. პროფ. ელენე გოგიაშვილი
3.	სკანდინავიის ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკა	5	15	30	58	8	10	4	წინაპირობის გარეშე		√	ასოც. პროფ. თორნიკე თურმანიძე ვასილ კუჭუხიძე
4.	ფილოსოფიური აზრი სკანდინავიის ქვეყნებში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		პროფ. აკაკი ყულიჯანიშვილი დოქტორი მამუკა სურმავა
5.	ლიტერატურული კომპარატივისტიკა (პროგრამიდან: „თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა“)	5	30	15	60	6	11	3	წინაპირობის გარეშე	√		პროფ. ნანა გაფრინდაშვილი
6.	მხატვრული თარგმანის ანალიზი და კრიტიკა (პროგრამიდან: „თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა“)	5	15	30	45	6	8	3	წინაპირობის გარეშე	√		ასოც. პროფ.ნინო წერეთელი
7.	თეორიული ეთნოლოგია (პროგრამიდან: „ეთნოლოგია“)	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		პროფ. როლანდ თოფჩიშვილი
8.	საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში (პროგრამიდან: „ახალი და უახლესი ისტორია“)	10	60	30	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე	√		პროფ. თეიმურაზ პაპასქირი
9.	ქალი XX საუკუნის მსოფლიო ისტორიაში (პროგრამიდან: „ახალი და უახლესი ისტორია“)	5	15	30	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე		√	ასოც. პროფ. ელენე მემმარიაშვილი
10.	ენათა კონტაქტები (პროგრამიდან:	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე		√	ასოც. პროფ. თინათინ

	„ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება“)											ბოლქვაძე
11.	ინტერკულტურული კვლევები (პროგრამიდან: „კულტურის კვლევები“)	10	30	60	120	16	21	3	წინაპირობის გარეშე	√		ასოც.პროფ. ქეთევან კაკიტელაშვილი
12.	უცხო (გერმანული/ფრანგული) ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	√	√	ენების ცენტრის მასწავლებელი
13.	უცხო (გერმანული/ფრანგული) ენა 2	5		60	45	8	10	2	უცხო (გერმანული/ფრანგული) ენა 1 / ტესტი	√	√	ენების ცენტრის მასწავლებელი
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**									IV	

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი